

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანია“ს დირექტორი

ვამტკიცებ

ბრძანება №87 30.08.2022



შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ ბრიტანია“

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2022-2023

## შესავალი

2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და შემუშავებულია 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანალიზის გათვალისწინებით. წინამდებარე გეგმის შესრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. კერძოდ, გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ იხელმძღვანელებს მომდევნო ერთი წლის განვითარების პროცესში.

2022-2023 სასწავლო წელი მნიშვნელოვანია სკოლისთვის. სკოლას კიდევ ერთხელ უწევს გარე შეფასება-რეავტორიზაციის პროცესი. სასწავლო წლის დასაწყისში, სტატუსისის მაძიებლის განაცხადის შესატანად, სკოლა დიდი მონდომებით და ყურადღებით მოემზადა, რათა კიდევ ერთხელ დაადასტუროს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. მუშაობა მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. გაანალიზდა წინა წლების შედეგები, გამოწვევები, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სკოლის პრიორიტეტები და გამოცდილებები, მონიტორინის შედეგები და რეკომენდაციები.

სკოლის მისიისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, სკოლამ შეიმუშავა ინგლისური ენის სწვლების (გამლიერებული პროგრამა) განსხვავებული სქემა, რაც სამინისტროსთან შეთანხმდა და განხორციელებისთვის გარკვეული რეკომენდაციებიც მიიღო. სკოლისთვის აქტუალურია საკლუბო ცხოვრება, რაც ახალ სასწავლო წელსაც პრიორიტეტული იქნება. სკოლა მუდმივად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, რომლის შედეგების ანალიზიც წარმოადგენს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელოვან საფუძველს.























